განმარტებითი ბარათი

„სენაკის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის №13 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით

პროექტის დამახასიათებელი ნიშნები:

„საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის საფუძველზე გადამუშავებული ფისკალური პროგნოზების შესაბამისად სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2023 წელს მიიმართება გასანაწილებელი დამატებული ღირებულების გადასახადის 0.92%, რაც ნომინალურ გამოხატულებაში საორიენტაციოდ შეადგენს 14 683.2 ათას ლარს, რაც აუცილებლობას წარმოადგენს ასახულ იქნეს ,,სენაკის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტი“-ში .

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია გაიზარდოს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობები, კერძოდ, დამატებული ღირებულების გადასახადი 312700(სამასთორმეტი ათას შვიდასი) ლარით, შესაბამისად უნდა გაიზარდოს გადასახდელები, კერძოდ:

სენაკის მუნიციპალიტეტი განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსის მ/წლის 3 ოქტომბრის №04-40232766 წერილიდან ირკვევა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, ინიციატივითა და საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, საქართველოში მიმდინარე წლიდან 27 ოქტომბერს აღინიშნება მასწავლებლის ეროვნული დღე. აღნიშნულ თარიღთან დაკავშირებით, იგეგმება საზეიმო ღონისძიება, რომლის სავარაუდო თანხა შეადგენს 15000(თხუთმეტი ათაის) ლარს, რაც სამსახურს მიმდინარე წლის ბიუჯეტში არ ქონდა გათვალისწინებული. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიზნაშეწონილია ,,სენაკის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტი“-ში გაიზარდოს განათლების ღონისძიებების პროგრამაში (პროგრამული კოდი 04 04) საქონელი და მომსახურების მუხლი 15000(თხუთმეტი ათას) ლარით.

ა(ა)იპ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის'' გაერთიანების დირექტორის მ/წლის 2 ოქტომბრის №87 წერილიდან ირკვევა, რომ ზამთრის სეზონის მოახლოებასთან დაკავშირებით საჭიროა ბაგა-ბაღებისათვის 20 ტონა საწვავი ხის მასაა(ბრიკეტი) შეძენა, რომელიც გამოიყენება მ/წლის ნოემბერ-დეკემბრის პერიოდში. ვინაიდან ამ ეტაპზე თანხის უქონლობის გამო გაერთიანებას 2023 წლის ბიუჯეტის სახსრებით აღნიშნულის შესყიდვის განხორციელება არ შეუძლია, ითხოვს 2023 წლის სუბსიდიური დაფინანსების გაზრდას 24000(ოცდაოთხი ათასი) ლარით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიზნაშეწონილია ,,სენაკის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტი“-ში გაიზარდოს სკოლამდელი განათლების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 04 01) სუბსიდიის მუხლი 24000(ოცდაოთხი ათასი) ლარით.

ა(ა)იპ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების'' დირექტორის მ/წლის 19 მაისის №38 წერილის საფუძველზე ირკვევა, რომ საქართველოს ტაიკვანდოსა და კიკბოქსინგის ფედერაციის პრეზიდენტის წერილის საფუძველზე ითხოვენ გაერთიანებაში კიკბოქსინგის სახეობის დამატებას, რისთვისაც საჭიროა სპორტის ხელშეწყობის განვითარების პროგრამას (პროგრამული კოდი 05 01 01) დაემატოს სუბსიდია 9000(ცხრა ათასი) ლარი, მწვრთნელის ხელფასისა და სამივლინებო ხარჯებისათვის. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიზნაშეწონილია ,,სენაკის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტი“-ში გაიზარდოს სპორტის

ხელშეწყობის განვითარების პროგრამაში (პროგრამული კოდი 05 01 01) სუბსიდიის მუხლი 9000(ცხრა ათასი) ლარით.

ა(ა)იპ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების'' დირექტორის მ/წლის 6 ივნისის №87 წერილის საფუძველზე ირკვევა, რომ საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციიდან მიღებული დებულებისა და კალენდარის თანახმად სასპორტო სკოლის გუნდს სტუმრად უწევს 6 და შინ 6 თამაში. თამაშში საუკეთესო შედეგების მიღწევის შემთხვევაში ან A ლიგაში დასარჩენად მოუწევს სტუმრად 8 თამაშის ჩატარება, რისთვისაც საჭიროა დამატებითი თანხები. აღნიშნულიდან გამომდინარე 16 წლამდელთა ჩემპიონატის A ლიგაში მონაწილეობის მისაღებად პირველი 12 თამაშებისათვის სჭირდებათ 18500(თვრამეტი ათას ხუთასი) ლარი. ასევე საუკეთესო შედეგების მიღწევის შემთხვევაში A ლიგაში დასარჩენად საჭირო იქნება კვლავ დამატებით 8672(რვაათას ექვსასსამოცდათორმეტი) ლარი, ხოლო უმცროსი დუბლი გუნდისათვის(ჯუნიორებისათვის) 6504(ექვსიათას ხუთასოთხი) ლარი, სულ ითხოვენ დამატებით სუბსიდიას 33676(ოცდაცამეტი ათას ექვსასსამოცდათექვსმეტი) ლარს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიზნაშეწონილია ,,სენაკის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტი"-ში გაიზარდოს სპორტის ხელშეწყობის ღონისძიებების პროგრამა (პროგრამული კოდი 05 01 01) სუბსიდიის მუხლი 33676(ოცდაცამეტი ათას ექვსასსამოცდათექვსმეტი) ლარით.

ა(ა)იპ ,,ხელოვნების ცენტრის ''დირექტორის მ/წლის 31 აგვისტოს №59 წერილიდან ირკვევა, რომ სასწავლო პროცესის სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის საჭიროებას წარმოადგენს საკლასო ოთახები და საკონცერტო დარბაზი აღიჭურვოს სავარძლებით, რადგანაც არსებული ვერ პასუხობს შესაბამის მოთხოვნებს და ითხოვენ 60 სავარძლის შესძენას, სავარაუდო ღირებულებით 7500(შვიდი ათას ხუთასი) ლარი. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიზნაშეწონილია ,,სენაკის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტი"-ში გაიზარდოს ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების ხელშეწყობის პროგრამაში (პროგრამული კოდი 05 02 02) სუბსიდიის მუხლი 7500(შვიდი ათას ხუთასი) ლარით.

სენაკის მუნიციპალიტეტი განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსის მ/წლის 3 ოქტომბრის №04-40232766 წერილიდან ირკვევა, რომ ითხოვენ დამატებით თანხების გამოყოფას: ,,ეგრისობის" სახალხო დღესასწაულისათვის 100 000 (ასი ათასი) ლარს; მ/წლის 25 დეკემბერს ნაძვის ხის ანთების ცერემონიალისათვის 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარს და აკაკი ხორვას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის ,,ჩიპოლინოს თავგადასავალი'' თანადაფინანსებისათვის 20 000(ოცი ათასი) ლარის. ასევე, მიმდინარეობს სცენის, განათება და გახმოვანების აპარატურის შესყიდვების პროცედურები. აღნიშნული საქონელის შენახვისა და ტრანსპორტირებისთვის საჭიროა ტრაილერის მისაბმელის შესყიდვა თავისი სათავსოთი, რომლის სავარაუდო ღირებულებაა 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარი. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიზნაშეწონილია ,,სენაკის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტი"-ში გაიზარდოს კულტურული ღონისძიებების პროგრამაში (პროგრამული კოდი 05 02 04) გრანტების მუხლი 20000(ოცი ათასი) ლარით, საქონელი და მომსახურების მუხლი 130 000(ასოცდაათი ათასი) ლარით,არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარით.

ა(ა)იპ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისსა და კულტურის ცენტრი"-ს დირექტორის მ/წლის 4 ოქტომბრის №89 წერილიდან ირკვევა, რომ ცენტრში შემავალი სახვითი ხელოვნების გალერეის შენობის სამი კარი(სასტუმრო ,,ვერსალის" მხარეს) შესაცვლელია რკინის კარებით, ხოლო შენობის შიგნით, დარბაზის და

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიზნაშეწონილია ,,სენაკის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტი"-ში გაიზარდოს მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამაში (პროგრამული კოდი 05 02 01) სუბსიდიის მუხლი 7000(შვიდი ათასი) ლარით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიზნაშეწონილია ,,სენაკის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტი"-ში გაიზარდოს მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამაში (პროგრამული კოდი 05 02 01) სუბსიდიის მუხლი 7000(შვიდი ათასი) ლარით.

ა(ა)იპ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის" მ/წლის 24 აპრილის №8 წერილიდან ირკვევა, რომ ცენტრი ითხოვს ინტეგრირებული სკრინინგის ფარგლებში დამატებით სუბსიდიას 3500(სამიათას ხუთასი) ლარის ფარგლებში 2000 ბენეფიციარის სკრინინგისათვის (HCV-HIV-TB-C ჰეპატიტი, შიდსი, ტუბერკულიოზი). ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიზნაშეწონილია ,,სენაკის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტი"-ში გაიზარდოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების პროგრამაში (პროგრამული კოდი 06 01 01) სუბსიდიის მუხლი 3500(სამიათას ხუთასი) ლარით.

სენაკის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი მ/წლის 10 ოქტომბრის №02-402328384 წერილში აღნიშნავს, რომ სენაკში 2021 წლიდან ფუნქციონირებს ა(ა)იპ ,,ჯანმრთელობისა და განვითარების ცენტრი", რომელიც ახორციელებს ბავშვთა, მოზარდთა და ზრდასრულთა მენტალური ჯანმრთელობის ხელშეწყობას და შესაბამისი სერვისების მიწოდებას. ცენტრის საქმიანობა მოიცავს სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვების/მოზარდების დახმარებას. 2021 წლიდან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მხრიდან განხორციელდა ორგანიზაციის, როგორც სერვისის მიმწოდებლის რეგისტრაცია. შესაბამისად, ცენტრმა 2021 წლის ნოემბრიდან დაიწყო სახელმწიფო პროგრამის - ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამის განხორციელება. სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფარგლებში ცენტრში ყოველთვიურ მომსახურებას იღებს 15 აუტისტური სპექტრის მქონე მოზარდი. ცენტრში მომსახურებას იღებენ ასევე მოზარდები სამეგრელოს სხვა მუნიციპალიტეტებიდან. მიმდინარე წლის 10 ოქტომბერს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია ა(ა)იპ ,,ჯანმრთელობისა და განვითარების ცენტრი"-ს დირექტორის წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ სპეციალური საჭიროების მქონე პირთა სტატისტიკა მზარდია. სამწუხაროდ, გამონაკლისს არც საქართველო, კერძოდ სამეგრელოს რეგიონი წარმოადგენს. მაგალითად, აუტიზმის ყოველი 4 შემთხვევიდან 3 დიაგნოსტირებული არ არის. აუტიზმის დიაგნოზის საბოლოო დასმისათვის აუცილებელია, მოზარდს ADOS -ის კვლევა ჩაუტარდეს. ADOS -ის კვლევით ფასდება ორი სფერო: 1. სოციალური აფექტი (კომუნიკაცია+სოციალური ინტერაქცია) 2. ინტერესთა შეზღუდულობა, სტერეოტიპული ქცევები. საბოლოოდ მიღებული ჯამური ქულობრივი მაჩვენებელი განსაზღვრავს მოცემული მდგომარეობა შეფასდა როგორც აუტისტური სპექტრი, აუტიზმი, თუ როგორც სიმპტომების გამოხატულობის ხარისხი (მსუბუქი, საშუალო თუ მნიშვნელოვნად გამოხატული). სხვა ფაქტორებთან ერთად, საბოლოო გადაწყვეტილებას დიაგზნოთან დაკავშირებით ექიმი ADOS -ის კვლევის საფუძველზე იღებს. ამიტომაც მიიჩნევა იგი კვლევის ოქროს სტანდარტად. ADOS -ის კვლევა გამოიყენება 12 დან 30 თვემდე ასაკის ბავშვების დიაგნოსტიკისას. პირველადი შეფასების შემდეგ, მდგომარეობის გადაფასება 6-12 თვეში ხდება. პარარელურად, ტარდება IDI-R -ის კვლევა, რაც მშობელთან აუტიზმის სადიაგნოსტიკო ინტერვიუს წარმოადგენს. თერაპიული ჩარევის ეფექტურობა დამოკიდებულია მდგომარეობის ადრეულ ასაკში დიაგნოსტირებაზე. ოფიციალური დიაგნოზის დასმა აუცილებელია ,ნებისმიერი სახელმწიფო თუ კერძო პროგრამის ფარგლებში რეაბილიტაციის/მკურნალობის დაწყებისათვის. აუცილებელი მოთხოვნა არის, რომ ეს კვლევა ტრენინგის

გავლის, შესაბამისი სერთიფიკატის აღების შემდეგ, პროფესიით ფსიქიატრმა ან ნევროპათოლოგმა ჩაატაროს. საქართველოში ADOS -ის კვლევა მხოლოდ თბილისსა და ქუთაისში ტარდება. სამეგრელოს, აჭარის, გურიის რეგიონის მოსახლეობა ამ შესაძლებლობას მოკლებულია. ფინანსური პრობლემების გამო, მშობლები ვერ ახერხებენ ბავშვების ქუთაისსა თუ თბილისსში ტრანსპორტირებას. შედეგად, საჭიროების მქონე ბავშვები რჩებიან დახმარების გარეშე. ამ ფაქტობრივი გარემოებების გათვალისიწინებით, სამეგრელოს რეგიონი, საჭიროების მქონე ბავშებისათვის ADOS -ის კვლევის დანერგვის აუცილებლობის წინაშე დგას. ADOS -ის კვლევისათვის სპეციალისტის გადამზადება საქართველოში არ ხდება, თუმცა გადამზადება ონლაინ რეჟიმში შესაძლებელია. ინსტრუმენტალური კვლევის, გადამზადების გავლის გარდა, აუცილებელია სპეციალური ინსტრუმენტების შეძენა, რაც ასევე ინტერნეტით შეკვეთის გზით უნდა მოხდეს. როგორც სპეციალისტის გადამზადება, ასევე ინსტრუმენტების შეძენა გარკვეულ თანხებთან არის დაკავშირებული (გადამზადების თანხა, ინსტრუმენტების შეძენა, ტრანსპორტირების/ წონის საფასური, განბაჟება). ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია ახალი პროგრამის შემოღება „საჭიროების მქონე ბავშებისათვის ADOS -ის კვლევა დანერგვა მუნიციპალიტეტში“ რისთვისაც ამ ეტაპზე მიზანშეწონილია გამოიყოს სუბსიდია 10000(ათი ათასი) ლარის ოდენობით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიზნაშეწონილია ,,სენაკის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტი“-ში დაემატოს ახალი პროგრამა „საჭიროების მქონე ბავშებისათვის ADOS -ის კვლევა დანერგვა მუნიციპალიტეტში“ (პროგრამული კოდი 06 16) და გაიზარდოს სუბსიდიის მუხლი 10000(ათი ათასი) ლარით.

ამასთან, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ,,სენაკის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტი“-ში გაიზარდოს კეთილმოწყობის ღონისძიებების პროგრამა (პროგრამული კოდი 02 06) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 3024(სამი ათას ოცდაოთხი) ლარით.

ყოველივე ზემოაღნიშნული ასახული უნდა იქნეს „სენაკის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის №13 დადგენილებაში, რისთვისაც წარმოგიდგენთ დადგენილების პროექტს.

პროექტი მომზადებულია სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის მიერ.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ბადრი ქუთელია

საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი დონარა ალანია